საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.15.04.005.042*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: *882011322961*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *861* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი *26.07.11*



81/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა	0.00
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011733238147014

თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2; ტელ.: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41; www.napr.gov.ge

 # 138375

03 / ივლისი / 2014 წ.

უჩა ქირიას,

2014 წლის 2 ივლისს შემოსული თქვენი №127009/17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის მონაცემებით, თქვენს მიერ წარმოდგენილ საკადასტრო გეგმაზე მონიშნულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულია ხაზოვანი ობიექტი (იხ. დანართზე მონიშნული ტერიტორია) (საკადასტრო კოდი N01.00.332 ობიექტის ტიპი: საკომუნიკაციო ნაგებობა ; ობიექტის აღწერა: ჭებს შორის არსებული კანალიზაცია (არხი) ; ობიექტის სიგრძე: 46190 მ. დაფარვის ზონა: ქ. თბილისის ტერიტორია ; საკუთრების ტიპი: საკუთრება ;დამატებითი მახასიათებლები: ჭა- 1493 ცალი და გამანაწილებელი კარადა 67 ცალი.) რომელზეც რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება "სილქნეტი" -ს (ID ნომერი:204566978) საკუთრების უფლება. გან. რეგისტრაციის N 882011458382 - 20/09/2011.

დანართი: „1„ გვერდი.

საინფორმაციო სერვისების განყოფილების უფროსი

დარეჯან გოგებაშვილი

საგადახდო დავალება N3

"15" ივლისი 2014 წელი

რეფერენსი
2874830683

გადამხდელის დასახელება: ამხანაგობა "ბროსეს 8"

ანგარიში (დებეტი) GE79BG0000000220994100
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტ. კოდი 204540489

მიმღების დასახელება: სს სილქნეტი

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE41BG0000000878415000
(ძველი ანგ.)

მიმღების ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადახდის დანიშნულება: საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუშა პროექტის მომზადების ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____ ბ.ა.

მთ. ბუღალტერი _____

თანხა
400-00

თანხა სიტყვებით
ოთხასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მიერ: 15.07.14

ხელმოწერა

შტამპის ადგილი



მომსახურების ხელშეკრულება #_____

ქ.თბილისი 14 ივლისი 2014 წელი

ერთის მხრივ, სს „სილქნეტი“, სააქციო საზოგადოება დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978, (შემდგომში ,,სილქნეტი“) წარმოდგენილი სს „სილქნეტის“ კორპორატიული დეპარტამენტის უფროსის გიორგი მირიანაშვილის სახით

და

მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა "ზროსეს - 8", რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო/საგადასახადო კოდი: 204540489, (შემდგომში: „კომპანია“), წარმოდგენილი ამხანგობის თავჯდომარის გიორგი თაბაგარის (პ/ნ: 01024002934) მინდობილი პირის უჩა ქირიას (პ/ნ: 58001002354) სახით, მოქმედი 2014 წლის 24 აპრილს ნოტარიუსი ნინო მათიაშვილის მიერ გაცემული სანოტარო მინდობილობის (რეგისტრაციის ნომერი: 140399742; ინდივიდუალური ნომერი: 71848541319014) საფუძველზე

ვდებთ ამ მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემდეგზე:

“სილქნეტი” და “დამკვეთი” შემდგომში ერთობლივად მოიხსენიებიან როგორც “მხარეები”, ხოლო ცალ-ცალკე როგორც “მხარე”

“ხელშეკრულება” შედგება საერთო პირობების (შემდგომში “საერთო პირობები”) და სპეციალური პირობებისგან (შემდგომში “სპეციალური პირობები”). “საერთო პირობებს” და “სპეციალურ პირობებს” შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება “სპეციალურ პირობებს”.

<u>საერთო პირობები</u>

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. “სილქნეტი” ვალდებულია “დამკვეთს” გაუწიოს მომსახურება (შემდგომში “მომსახურება”), რომელიც მოცემულია “ხელშეკრულების” “სპეციალური პირობებში”.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. “ხელშეკრულება” მოქმედების ვადა განისაზღვრება “სპეციალური პირობებით”.

3. სილქნეტის უფლება-მოვალეობანი

3.1. “სილქნეტი” უფლებამოსილია “მომსახურების” შესრულების პერიოდში “დამკვეთისგან” მიიღოს ყველა სახის საჭირო ინფორმაცია.

3.2. “მომსახურება” გაწიოს სრულად “ხელშეკრულებით” განსაზღვრულ ვადებში.

4. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი

4.1. “დამკვეთი” უფლებამოსილია გამოიყენოს “ხელშეკრულებით” და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

4.2. “დამკვეთი” ვალდებულია:

4.3. გადაიხადოს “ღირებულება” (როგორც ეს განსაზღვრულია “ხელშეკრულების” მე-5 მუხლში) “ხელშეკრულების” დებულებათა შესაბამისად.

4.4. „დამკვეთი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ „სამუშაოების“ განხორციელების ტერიტორიას ფლობს და სარგებლობს კანონიერად, აგრეთვე „დამკვეთს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი ნებართვა/უფლება/თანხმობა, რაც აუცილებელია მის („დამკვეთის“) მიერ, „ხელშეკრულების“ გასაფორმებლად და „ხელშეკრულებით'' განსაზღვრული უფლება–მოვალეობების ჯეროვნად განხორციელებისთვის/შესრულებისთვის და „სილქნეტის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთის“ აღნიშნული განცხადება აღმოჩნდება არასწორი, „დამკვეთი“ ვალდებულია, სრულად აუნაზღაუროს „სილქნეტს“ და ყველა სათანადო მესამე პირს, აღნიშნულით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი სახის ზიანი.

4.5. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს “ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებები.

5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. “ხელშეკრულებით” განსაზღვრული “მომსახურების” ღირებულება (შემდგომში ''ღირებულება) მოცემულია ''სპეციალურ ნაწილში''.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „ხელშეკრულებით'' განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, “მხარეები” პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობითა და ამ “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული პირობებითა და წესით. თითოეული “მხარე” პასუხისმგებელია მეორე “მხარისთვის” მიყენებულ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანზე.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ „დამკვეთი“ „ხელშეკრულების“ საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის, პირგასამტეხლოს თანხების, აგრეთვე „ხელშეკრულების“ საფუძველზე „დამკვეთის“ მიერ „სილქნეტისთვის“ მიყენებული ზიანის გადახდას არ განახორციელებს „ხელშეკრულების“ შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ ვადებში, „სილქნეტი“ უფლებამოსილი იქნება ჯარიმის, პირგასამტეხლოს და მიყენებული ზიანის

ღირებულების გადახდის უზრუნველსაყოფად (ამოსაღებად), განახორციელოს „დამკვეთის“ საკუთრებაში არსებული მთელი ქონებიდან ნებისმიერი სახის უძრავი და მოძრავი ქონების რეალიზაცია და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით აღსრულებაზე მიმართვა, იმ ოდენობით ვიდრე ჯარიმა, პირგასამტეხლო და მიყენებული ზიანის ღირებულება სრულად არ იქნება გადახდილი (ამოღებული).

7. პირგასამტეხლო

7.1. პირგასამტეხლოს ოდენობა და გადახდის წესი მოცემულია “ხელშეკრულების” “სპეციალურ პირობებში”.

8. ფორს-მაჟორი

8.1. “მხარეები”თავისუფლდებიან ამ “ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის მოქმედებით. ამგვარი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი გარემოებებით: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურებები, ომი, საომარი მოქმედებები, გაფიცვები, სახელმწიფო და მმართველობის ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული აქტების (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისმობს: შესაბამისი ადმინისტრაციული ან/და არქიტექტურის სამსახურის მიერ სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვა/თანხმობის გაცემაზე უარის თქმის ან/და ხარვეზის დადგენის ან/და სხვა შემთხვევებში) მიღება, რომლის საფუძველზე შეუძლებელია “მხარეთა” მიერ ამ “ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად ან სრულად შესრულება, ასევე მესამე პირების მიერ (რომლთაგანაც საჭიროა ,,მომსახურებასთან“ დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე თანხმობის/ნებართვის მოპოვება) ,,მომსახურებასთან“ დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაზე უარის გაცხადების შეთხვევაში.

8.2. “მხარეები” ვალდებულნი არიან დაუყონებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

8.3. ფორს-მაჟორის დადასტურების შემთხვევაში, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გაიზრდება ფორს-მაჟორის ვადის პროპორციულად. ვადის გამოთვლა განახლდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების შემაფერხებელი ფორს - მაჟორის დასრულებისთანავე. ვადის დარჩენილი ნაწილი გაიზრდება შეფერხების ხანგრძლივობის პროპორციულად. ფორს-მაჟორული მდგომარეობ(ებ)ის დასრულებისთანავე, „მხარეები“ ვალდებულნი არიან სრულად აღადგინონ (გააგრძელონ) ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულება. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ თუკი ამგვარი ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს „მხარეები“ უფლებამოსილები არიან წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტონ წინამდებარე „ხელშეკრულება“.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. „ხელშეკრულების” შეწყვეტის პირობები:

9.1.1. „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

9.1.2. “მხარეთა” ურთიერთშეთანხმებით;

9.2. “სილქნეტს” უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს “ხელშეკრულება”, ნებისმიერ დროს თუ 2 (ორი) კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინებს “დამკვეთს” “ხელშეკრულების” შეწყვეტის თაობაზე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. “ხელშეკრულება” ძალაში შედის “მხარეთა” მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან;

10.2. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები (პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

10.3. „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ''ხელშეკრულების'' შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ''ხელშეკრულების'' სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) ''ხელშეკრულების'' შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

10.4. “ხელშეკრულებაში'' ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ წერილობით, “მხარეთა” შეთანხმებით

10.5. ;'ხელშეკრულება'', მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება “მხარეთა'' შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ ამ “ხელშეკრულების” რომელიმე მუხლი გაუქმდება, ეს არ გამოიწვევს სხვა მუხლების მოქმედების შეწყვეტას;

10.7. “მხარეთა'' შორის წარმოშობილი უთანხმოებანი წყდება მოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს საქართველოს შესაბამისი სასამართლო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.8. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, „სილქნეტის“ სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10.9. “ხელშეკრულება” შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „სილქნეტს“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი „დამკვეთს“.

სპეციალური პირობები

1. „ხელშეკრულების“ საგანი

1.1. „სილქნეტი“, „დამკვეთის“ მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფს ქ.თბილისში, ძველი თბილისის (ყოფ.მთაწმ) რაიონში, ბროსეს ქუჩა #6-ს და #8-ს შორის არსებული ტერიტორიაზე „სილქნეტის“ კუთვნილი საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუშა პროექტის (შემდგომში „პროექტი“) მომზადებას (შემდგომში „მომსახურება“)

1.1.1. „სილქნეტი“ „ხელშეკრულების“ სპეციალური პირობების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „პროექტის“ მომზადებას უზრუნველყოფს, „დამკვეთის“ მიერ, „ხელშეკრულების“ სპეციალური პირობების 5.1. პუნქტით განსაზღვრული „ღირებულების“ (400 ლარის) გადახდიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

1.1.2. „სილქნეტის“ მიერ „მომსახურების“ დასრულების შემდგომ, „მხარეთა“ შორის ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტი;

1.1.3. თუ „დამკვეთი’’, 1.1.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში არ მიმართავს „სილქნეტს’’ „პროექტით“ გათვალისწინებულის სამუშაოების განხორციელების მოთხოვნით, „სილქნეტი“ უფლებამოსილია, შეცვალოს „პროექტით“ გათვალისწინებული პირობები და იგი ხელახლა წარუდგინოს „დამკვეთს“.

1.1.4. იმ შემთხვევაში, თუ „სილქნეტის“ მიერ „პროექტის“ მომზადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთი“ ხელს არ აწერს „პროექტის“ მიღება–ჩაბარების აქტს ან/და რაიმე ფორმით უარს აცხადებს „პროექტის“ ჩაბარებაზე და მას („დამკვეთი“) აღნიშნულის თაობაზე „სილქნეტისთვის“ არ წარუდგენია წერილობითი ფორმით დასაბუთებული ახსნა–განმარტება, აღნიშნულ შემთხვევაში, 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, „სილქნეტის“ მიერ შედგენილი „პროექტი“ ჩაითვლება „დამკვეთის“ მიერ ჩაბარებულად/მიღებულად.

1.2. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

1.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 14 ივლისს და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვნად შესრულებამდე.

4. „დამკვეთის“ უფლება–მოვალეობები

4.1. ვალდებულია, უზრუნველყოს „ღირებულების“ გადახდა „ხელშეკრულების“ მეხუთე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.3. „სილქნეტს“ და მის პერსონალის შეუქმნას „მომსახურების“ გაწევისთვის შესაბამისი სახის პირობები. „დამკვეთის“ მიერ, აღნიშნული, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „მომსახურების“ („პროექტის“ მომზადების) მოცდენის შემთვევაში, „პროექტის“ მომზადების ვადები („ხელშეკრულების“ სპეციალური პირობების 1.1.1. ქვეპუნქტი) გადაიწევს მოცდენილი დღეების პროპორციულად;

5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. „პროექტის“ შედგენის ღირებულებაა 400 (ოთხასი) ლარი (შემდგომში „ღირებულება“)

5.2. „დამკვეთის“ მიერ, „ღირებულების“ გადახდა განხორციელდება „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, „სილქნეტის“ საბანკო ანგარიშზე (ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგარიშის ნომერი: GE41BG0000000878415000) გადარიცხვის გზით.

5.2.1. „დამკვეთი“ ვალდებულია „ღირებულების“ გადახდისას ანგარიშსწორების დანიშნულებაში მიუთითოს შემდეგი: ***სს „სილქნეტის“ მიერ საკომუნიკაციო ელემენტის გადატანითი სამუშაოების ჩატარებისთვის მუშა პროექტის მომზადების ღირებულება.***

„დამკვეთის“ მიერ ზემოთაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „სილქნეტი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს „მომსახურების“ გაწევაზე, ვიდრე არ მოხდება „ღირებულების“ გადახდა ზემოთაღნიშნული პირობების შესაბამისად.

5.3. „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „ღირებულება“ მოიცავს დღგ–ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა სახის გადასახადს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „დამკვეთის“ ინიციატივით, „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტის ან/და იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება ან/და სრულდება არაჯეროვნად, „დამკვეთს“ არ დაუბრუნდება „ხელშეკრულების“ საფუძველზე გადახდილი „ღირებულება“ (400 ლარი).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. „ხელშეკრულების“ სპეციალური პირობების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ,,ღირებულების“ გადახდის ვადის (5.2. პუნქტი) გასვლიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში „დამკვეთის“ მიერ „ღირებულების“ გადაუხდელობის ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში „ხელშეკრულება“ ჩაითვლება შეწყვეტილად (დამატებითი შეთანხმების საფუძველზე, დასაშვებია მხარეთა მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადის გაგძელება).

სს „სილქნეტი“

გიორგი მირიანაშვილი
კორპორატიული დეპარტამენტის უფროსი

ამხანაგობა "ბროსეს - 8"

ქეჩა ქირია
მინდობილი პირი